საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 31

2016 წლის 27მაისი,
ქ. ბათუმი

,,რსუ-ს აკადემიური საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 14 ივნისის N65 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ემუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ,,რსუ-ს აკადემიური საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 14 ივნისის N65 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

ა) რეგლამენტის 4.3. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4.3. აკადემიური საბჭოს სხდომა მოიწვევა რექტორის ინიციატივით ან აკადემიური საბჭოს წევრების 1/3-ის მიერ.აკადემიური საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხის შესახებ განაცხადი, დადგენილების პროექტთან ერთად, როგორც წესი, აკადემიური საბჭოს სამდივნოში უნდა შევიდეს სხდომის გამართვამდე <u>არაუგვიანეს ერთი კვირისა.</u> აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსი აკადემიური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით სხდომის დღის წესრიგის პროექტს (დადგენილებების პროექტებთან ერთად) დაუგზავნის აკადემიური საბჭოს წევრებს, რომელთაც შეუძლიათ <u>ორი დღის ვადაში</u> დღის წესრიგის პროექტში დამატებით შეიტანონ განსახილველი საკითხები. აკადემიური საბჭოს სხდომის დღის წესრიგის საბოლოო პროექტი <u>სამი დღით ადრე</u> ქვეყნდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე და სტრუქტურული ერთეულების (კანცელარიასთან, ფაკულტეტების და დამოუკიდებელი კვლევითი ერთეულების) საინფორმაციო დაფებზე.“

ბ) რეგლამენტის 4.5. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4.5. <u>აკადემიური საბჭოს სხდომა არის საჯარო.</u> საბჭოს სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად შესაძლებელია მოწვეული იქნან პირები, რომლებიც დაკავშირებული არიან სხდომის დღის წესრიგის საკითხთან. აკადემიური საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3-ის გადაწყვეტილებით შესაძლებელია აკადემიური საბჭოს სხდომა ან მისი გარკვეული ნაწილი (რომელიმე საკითხის განხილვისას) დაიხუროს ან ჩატარდეს ფარული კენჭისყრა. საბჭოს სხდომა მიმდინარეობს არაუმეტეს სამი საათისა. სხდომის მიმდინარეობა შეიძლება გაგრძელდეს დამსწრე წევრთა 2/3-ის გადაწყვეტილებით."

გ) რეგლამენტის 4.13. პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4.14. პუნქტი:

,,4.14. აკადემიური საბჭოს სხდომაზე მიღებულ დადგენილებას ქვეყნდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ხოლო ბსუ-ს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, გაზეთში ,,ბათუმის უნივერსიტეტი" - აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში."

დ) რეგლამენტის 5.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5.2. აკადემიური საბჭოს სამდივნო, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ადგენს სხდომის დღის წესრიგის პროექტს, რომელსაც ამ რეგლამენტის მე-4 მუხლის შესაბამისად აწვდის ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრებსა და ორგანიზებას უწევს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე მის გამოქვეყნებას."

2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი

გურამ ჩაგანავა

ბსუ აკადემიური საბჭო